საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებით
საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 11.02.2020 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ბაკურაძე აკაკი. ასოც.პროფ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ბახტაძე ეკატერინე. ასოც. პროფ. ბსუ
3. თავაძე ირინე. ასისტ. პროფ. ბსუ
4. ჩაგანავა პაატა. ასოც. პროფ. ბსუ
5. გვარიშვილი გურამ. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი. ბსუ

დღის წესრიგი:

1. ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის **ბახტაძე ეკატერინეს** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „აჭარის მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევა და შეფასება“

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) თურმანიძე თამილა
ბ) რობიტაშვილი ნატალია

დამხმარე პერსონალი:

ა) სურმანიძე იამზე
ბ) ბერიძე ქეთევან
გ) ანანიძე გია

სტუდენტები: 1
მაგისტრატურის: 1
დოქტორანტურის: 1
პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 10000;

შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 2300ლარი, მივლინებაზე 4000 ლარი, სტატიის დაბეჭდვაზე და გამოყენება 1000ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე 2000 ლარი, მრგვალი მაგიდის მოწყობა 700 ლარი. პროექტის მიზანია აჭარის ა.რ. მოსახლეობის ცხოვრების დონის

და ხარისხის შესწავლა, მასზე მოქმედი ფაქტორების შეფასება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრების განმარტებით: პროექტის გეგმა გრაფიკში არის გარკვეული წინააღმდეგობები, მაგალითად, მაისის თვეში ძალიან ბევრი სამუშაო ტარდება.

დაადგინეს:

<u>**გამოცხადდეს პროექტი გამარჯვებულად ახალგაზრდულ პროექტებს შორის**</u> ოთხი ხმით. პროექტმა მიიღო 91,25 ქულა.

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის **თავაძე ირინეს** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „საქართველოში არსებული სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების ეფექტიანობა და გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე“ **ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:**

ა) შაინიძე ეკა

ბ) ვერულიძე ვაჟა

გ) ღოღობერიძე თამარ

ე) ბერიძე არჩილ

ვ) ბაკურიძე სალომე

დამხმარე პერსონალი:

ა) თავბერიძე ინგა

სტუდენტები:

ბაკალავრიატის: 2

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 10000;

შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 4000ლარი, მივლინებაზე 3762 ლარი, ძირითადი აქტივების შეძენა 2238ლარი. პროექტის მიზანია საქართველოში არსებული სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების ეფექტიანობის შეფასება და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მისი გავლენის დადგენა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების განმარტებით: პროექტში მოცემული კონსულტირების პროცესი შესაძლოა ძნელი განსახორციელებელი აღმოჩნდეს, გარდა ამისა, ეჭვს იწვევს ძირითადი საშუალებების შეძენის საჭიროება.

დაადგინეს:

პროექტმა მიიღო ორი ხმა. მიღებული ქულა შეადგენს 88,75

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის **ბაკურაძე აკაკის** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „მარკეტინგული საქმიანობის დანერგვისა და განვითარების პრობლემები ქართულ კომპანიებში (აჭარის ა.რ. მაგალითზე)“

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) აბაშიძე ირაკლი

ბ) ქათამაძე გულიკო

გ) ქათამაძე დავით

დამხმარე პერსონალი:

ა) სუქნიშვილი მირზა

ბ) თურმანიძე ინეზა

გ) ქოქოლაძე ნონა

სტუდენტები:

ბაკალავრიატის: 1

მაგისტრატურის: 1

დოქტორანტურის: 1

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 9920;

შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 3845ლარი, მივლინებაზე 3400ლარი, ტრენინგებზე 2475ლ ლიტერატურის შეძენა 200ლარი. პროექტის მიზანია ქართულ კომპანიებში მარკეტინგული საქმიანობის დანერგვისა და განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, ბაზარზე ქართული პროდუქციის დამკვიდრებისა და წინსვლის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვა.

- **აზრი გამოთქვეს:**

კომისიის წევრების განმარტებით: პროექტის სათაური ზოგადია და არ ჩანს რა ტიპის ბიზნესზეა საუბარი (წარმოება, მომსახურება), ამასთან უნდა აღინიშნოს რომ ბაზარზე წინსვლისა და დამკვიდრების მარკეტინგული სტრატეგიები და ტაქტიკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მასშტაბებზე, საქმიანობის სახეზე და მოქმედების არეალზე (შიდა თუ საერთაშორისო ბაზარზე მუშაობს კომპანია). ამ პრობლემის ზოგადად შესწავლა რამდენად იქნება პრაქტიკულად თუ თეორიულად ღირებული. ვფიქრობ შედეგების საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციები იქნება ზოგადი.

დაადგინეს:

პროექტმა ვერ მიიღო ხმა. მიღებული ქულა შეადგენს 65,00 ქულას.

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის **ჩაგანავა პაატას** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „პირდაპირი და უცხოური ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის ანალიზი: ტენდენციები, შედეგები, პერსპექტივები“

ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:

ა) აბუსერიძე გიორგი

ბ) მამულაძე გელა

გ) ცინარიძე რამინ

დ) ქათამაძე გიორგი

დამხმარე პერსონალი:

ა) შარაბიძე მარიამ

ბ) აბაშიძე ჯილდა

სტუდენტები:

ბაკალავრიატის: 1

მაგისტრატურის: 1

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19900;

შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 7900ლარი, მივლინებაზე 6000ლარი, სტატიის

გამოქვეყნება 5400ლ, საქონელი და მომსახურება 600ლ. პროექტის მიზანია დადგინდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფინანსური რესურსების რა ნაწილი რჩება როგორც ეროვნული ეკონომიკის ზრდისა და სტიმულირების საშუალება და რა ნაწილი გაედინება უკან, რომელიც ქვეყნის ზოგად ფინანსურ მონაცემებში ასახულია, როგორც სრული საინვესტიციო თანხა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრების განმარტებით: გეგმა-გრაფიკს და ბიუჯეტს შორის არის აცდენები, არ არის დასახლებული ის მსხვილი ინვესტორები ვის შესწავლასაც აპირებს, არ გვხვდება იმ სექტორების ჩამონათვალი, სადაც ყველაზე მეტად ვიზიდავთ ინვესტიციებს, რაც დაეხმარებოდა კონკურსანტს ზემოქმედი ფაქტორების გამოვლენაში, საეჭვოა სამი თვის კვლევის/ინფორმაციის შედეგად მომზადდეს ისეთი მაღალკვალიფიციური ნაშრომი, რომ მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნდეს.

დაადგინეს: პროექტმა ვერ მიიღო ხმა. მიღებული ქულა შეადგენს 85,00 ქულას.

. **მოისმინეს:** 1. კომისიის წევრის **ბაკურაძე აკაკის** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „დაგროვებითი საპენსიო სისტემით მისაღები სოციალური სარგებლის ღირებულების პროგნოზირება გრძელვადიანი დეპოზიტის ღირებულების ცვლილების მიხედვით“ **ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:**

ა) ცინცაძე ასიე

ბ) ღლონტი ვლადიმერ

გ) ონიანი ლელა

დამხმარე პერსონალი:

ა) ღოღობერიძე თამარ

ბ) ვარშანიძე ნესტან

გ) ზოიძე რუსუდან

სტუდენტები:

ბაკალავრიატის: 1

მაგისტრატურის: 1

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19350;

შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 7750ლარი, მივლინებაზე 8500ლარი, საქონელი და მომსახურება 3100ლ. პროექტის მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე განისაზღვროს დაგროვებითი საპენსიო სისტემის მნიშვნელობა საპენსიო ასაკის მოსახლეობის სოციალური სარგებლით დაკმაყოფილებაში და არსებული რისკების პირობებში მოხდეს გრძელვადიანი საბანკო დეპოზიტების ღირებულების ცვლილების ისტორიული მონაცემების გამოყენებით მისაღები პენსიის მომავალი ღირებულების პროგნოზირება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების განმარტებით: გეგმა გრაფიკით სტატიის მომზადება გათვალისწინებულია ოქტომბერ-ნოემბერში, მაშინ როცა ბიუჯეტით სექტემბერში გათვალისწინებულია ნაშრომის პრეზენტაციისთვის საკონფერენციო ხარჯი.

დაადგინეს: **<u>პროექტი გამოცხადდეს გამარჯვებულად ოთხი ხმით.</u>** მიღებული ქულა შეადგენს 93,75 ქულას.

მოისმინეს: 1. კომისიის წევრის **ბახტაძე ეკატერინეს** ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

წარმოდგენილია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „აჭარის სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო და კერძო რესურსების ტრანსფორმაციისა და ოპტიმიზაციის მთავარი მიმართულებები“ **ძირითადი პერსონალი არიან შემდეგი პირები:**

ა) მანველიძე რეზო

ბ) ჩხაიძე ირმა

გ) ცეცხლაძე ლეილა

დ) ჯაბნიძე ნატო

დამხმარე პერსონალი:

ა) ჯაფარიძე სალომე

ბ) ქონდარიძე მელანო

გ) დუმბაძე თინათინ

სტუდენტები:

ბაკალავრიატის: 1

მაგისტრატურის: 1

დოქტორანტურის: 1

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19850;

შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება 7940ლარი, მივლინებაზე 6000ლარი, საქონელი და მომსახურება 4000ლ, ძირითადი აქტივები 1910. პროექტის მიზანია აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო და კერძო რესურსების ტრანსფორმაციისა და ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებების შესწავლა პარტნიორული თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობების დადგენა და მათი თავსებადობის განსაზღვრა განვითარების ეროვნულ სტრატეგიასთან.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების განმარტებით: გეგმა-გრაფიკის მიხედვით გართულდება მაღალრეიტინგული ჟურნალის შესაბამისი სტატიის მომზადება, გეგმა გრაფიკით ჩანს, რომ ერთი და იგივე ნაშრომის პრეზენტაცია ორჯერ ხდება, პირველად ოქტომბერში და მეორედ ნოემბერ-დეკემბერში, ხოლო ბიუჯეტით დეკემბერში ხდება ბროშურის გამოცემა. თუ ეს ბროშურა მოიცავს გამოქვეყნებული სტატიის გაგრძელებას და/ან სხვა სტატიების მიმატებას არ ჩანს ნათლად.

დაადგინეს: პროექტმა მიიღო ოთხი ხმა. მიღებული ქულა შეადგენს 91,25 ქულას. **<u>პროექტს ეძლევა რეკომენდაცია გავიდეს დამატებით განხილვაზე მიღებული ქულებით.</u>**

საბოლოოდ დადგინდა:

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, ოთხი წევრის ხმით **გამარჯვებულად გამოცხადდა პროექტი „დაგროვებითი საპენსიო სისტემით მისაღები სოციალური სარგებლის ღირებულების პროგნოზირება გრძელვადიანი დეპოზიტის ღირებულების ცვლილების მიხედვით“**. მენეჯერი - ასიე ცინცაძე. ბიუჯეტი: 19350ლ.

ახალგაზრდულ პროექტებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, ოთხი წევრის ხმით **გამარჯვებულად გამოცხადდა პროექტი „აჭარის მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევა და შეფასება“.** მენეჯერი - თამილა თურმანიძე. ბიუჯეტი: 10000ლ

კომისია შუამდგომლობს, რომ პროექტი, **„აჭარის სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო და კერძო რესურსების ტრანსფორმაციისა და ოპტიმიზაციის მთავარი მიმართულებები“.** (მენეჯერი - რეზო მაწველიძე. ბიუჯეტი: 19850ლ.) **გავიდეს დამატებითი დაფინანსების მოპოვების მიზნით ხელახლა განხილვაზე,** თუკი დადგება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსახილველი შემთხვევა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი: